საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 8 ივლისის N 7123/01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე შპს „ვესტ ჯორჯიას" ასფალტის საწარმო არ არის შესული ექსპლუატაციაში, შესაბამისად სოფ. ჯუმის მოსახლეობის მიერ, სამინისტროში 2021 წლის 9 ივნისს N10126 წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია ასფალტის საამქროს მუშაობისას გამოწვეულ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და ასფალტის დუღილის პროცესში ძლიერი სუნის წარმოქმნასა და მის გავრცელებაზე, არ შეესაბამება სიმართლეს.

რაც შეეხება დეტალურ ინფორმაციას, ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის (სიხშირის) პროცედურების შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხები განხილულია გზშ-ის ანგარიშის შესაბამის თავებში, კერძოდ თავი 4.10 – „საწარმოს მომარაგება საჭირო ნედლეულით, მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე, ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის სიხშირე შესაბამისი მარშრუტის მითითებით და ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი" და თავი 4.11 - „ინფორმაცია ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის (შემოზიდვა/გაზიდვის) ტრანსპორტის გადაადგილების აკრძალვის შესახებ, ასევე და საწარმოს სამუშაო რეჟიმის დაცვის შესახებ". ამასთან, გზშ-ის ანგარიშში, გვ. 49-ზე დატანილია საწარმოში ნედლეულის შემოტანის მარშრუტის ამსახველი ფოტოსურათი. აღნიშნულ ინფორმაციასთან დამატებით გაცნობებთ, რომ საწარმო მუშაობას დაიწყებს დილის 09:00 საათზე.

აგრეთვე, დანართის სახით გიგზავნით, საწარმოს გავლენის ზონაში არსებულ მოსახლეობასთან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ) დამადასტურებელ დოკუმენტს.

დანართი - 3 გვერდი

პატივისცემით,
დავით სიჭინავა

დირექტორი

№ 12215
12 07 2021